

**დადგენილება №27/2020** სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის N315 ბრძანების შესაბამისად, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის“ პროგრამის (ქვეპროგრამა “ორიენტირი“) ფარგლებში, **საგამომცემლო რესურსის შერჩევის შესახებ**

დადგენილება №27/2020

14 მაისი, 2020

დადგენილება №27/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის N315 ბრძანების შესაბამისად, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის“ პროგრამის (ქვეპროგრამა “ორიენტირი“) ფარგლებში, **საგამომცემლო რესურსის შერჩევის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, საპროექტო განაცხადის შერჩევის წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 მაისის N17 სხდომის ოქმის საფუძველზე,

#### **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის N315 ბრძანების შესაბამისად, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის“ პროგრამის (ქვეპროგრამა “ორიენტირი“) ფარგლებში, გამოსაცემდ შერჩეს:
  - ა) ზ.ფალიშვილის მესა;
  - ბ) მუსიკალური ალმანახი, მეორე გამოშვება.
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)

3. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

